



სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის
შედეგები

2017



01.10.2018

www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2018


საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2017 წელი)

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2017 წელს გასულ წელთან შედარებით 12,0%-ით გაიზარდა და 71,7 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2017 წელს მისი მოცულობა 38,2 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 11,9%-ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობის ცვლილება წლების მიხედვით




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2018

2017 წელს მთლიანი ბრუნვის 44,9% მოდის მსხვილ ბიზნესზე, 23,1% - საშუალო, ხოლო 32,0% - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 40,8%, საშუალოზე - 25,4%, ხოლო მცირე ბიზნესზე - 33,8%.

ბიზნეს საქტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2017 წელს




საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2017 წელს 50,8 მლრდ. ლარი (გასულ წელთან შედარებით 11,9%-ით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 31,6 მლრდ. ლარი შეადგინა (გასულ წელთან შედარებით 12,0 %-ით მეტი).

2017 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 708,2 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 6,2%-ით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 39,8% ქალია, ხოლო 60,2% - კაცი.

01.10.2018

ბიზნეს საქტორში დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 33,0% მსხვილ ბიზნესზე მოდის, 20,5% - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 46,5% - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 652,4 ათასი კაცი შეადგინა (გასულ წელთან შედარებით - 5,2%-ით მეტი). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 8046,4 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასულ წელთან შედარებით 14,6 %-ით მეტი).

2017 წლის საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1019,7 ლარს გაუტოლდა (გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 81.4 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 764,4 ლარი (გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 48,0 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:


- მსხვილი ბიზნესი – 1195.9 ლარი,
- საშუალო ბიზნესი – 1196.9 ლარი,
- მცირე ბიზნესი – 776.1 ლარი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2018

2017 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 45,7% მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზე დამამუშავებელი მრეწველობა - 11,9%-იანი წილით, შემდეგ მოდის მშენებლობა - 9,8%-იანი წილით, ხელოვნება, გართობა და დასვენება 8,6%-იანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება 6,6%-იანი წილით, ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება 4,1%-იანი წილით, ხოლო დარჩენილი 13,3% კი სხვა დარგებზე ნაწილდება


ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა, 2017 წელს



2017 წელს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (22,0%) და მშენებლობა (19,9%), შემდეგ მოდის ვაჭრობა (16,6%) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 9,6%-იანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 31,9 პროცენტიანი წილი უჭირავს:

01.10.2018

ბიზნეს სექტორის პროდუქციის სტრუქტურა, 2017 წელს




2017 წელს დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის საქმიანობების დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 26,0%, 13.1% და 10,8%-იანი წილებით). თუმცა, სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების (9,8%), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8,0%), და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის საწარმოებზეც (6,0%):

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2018


ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2017 წელს



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2018

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2018

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვალებადობა 2017 წელს, გასულ წელთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2016 წლის	2017 წლის	2017 წლის ზრდის ტემპი 2016 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	64081.8	71740.1	112.0
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	368.0	425.9	115.7
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	611.8	671.4	109.7
დამამუშავებელი მრეწველობა	7232.5	8532.1	118.0
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	2516.2	2943.6	117.0
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	211.2	237.4	112.4
მშენებლობა	6863.2	7051.2	102.7
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	29284.7	32816.3	112.1
ტრანსპორტი და დასაწყობება	4172.5	4699.5	112.6
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1307.0	1562.3	119.5
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	570.3	723.6	126.9
საკვებით და სასმელებით მომსახურება	736.7	838.7	113.8
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1600.2	1657.7	103.6
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	991.5	1090.9	110.0
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1302.0	1414.5	108.6
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	837.1	1018.5	121.7
განათლება	301.2	351.3	116.6
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	895.2	975.1	108.9
ხელოვნება, გართობა და დასვენება	5489.0	6176.6	112.5
სხვა სახის მომსახურება	98.5	116.0	117.7

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2018

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვალებადობას 2017 წელს, გასულ წელთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2016 წლის	2017 წლის	2017 წლის ზრდის ტემპი 2016 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	34156.9	38206.8	111.9
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	410.5	457.9	111.6
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	633.4	690.6	109.0
დამამუშავებელი მრეწველობა	7049.2	8402.3	119.2
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება	1263.3	1347.5	106.7
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	299.5	364.7	121.8
მშენებლობა	7381.9	7611.0	103.1
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	5633.2	6345.4	112.6
ტრანსპორტი და დასაწყობება	3097.9	3661.6	118.2
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1325.3	1564.5	118.0
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	591.9	727.5	122.9
საკვებით და სასმელებით მომსახურება	733.4	836.9	114.1
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1321.8	1446.7	109.4
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1011.1	1121.0	110.9
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1121.2	1217.2	108.6
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	548.3	710.9	129.7
განათლება	321.7	366.9	114.0
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1475.1	1614.7	109.5
ხელოვნება, გართობა და დასვენება	1166.5	1168.3	100.2
სხვა სახის მომსახურება	96.9	115.6	119.2

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2018

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვალეზადობა 2017 წელს, გასულ წელთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს საქტორში დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მოხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE rev. 2	2016 წლის	2017 წლის	2017 წლის ზრდის ტემპი 2016 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	666790	708165	106.2
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	12691	12699	100.1
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	7907	8565	108.3
დამამუშავებელი მრეწველობა	90192	92438	102.5
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	14473	14881	102.8
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	13351	14805	110.9
მშენებლობა	75034	76187	101.5
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	169699	183884	108.4
ტრანსპორტი და დასაწყობება	52831	56520	107.0
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	37431	42154	112.6
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	14072	17507	124.4
საკვებით და სასმელებით მომსახურება	23360	24647	105.5
ინფორმაცია და კომუნიკაცია	19672	21435	109.0
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	17255	17699	102.6
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	23741	24988	105.3
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	23326	25333	108.6
განათლება	22146	22637	102.2
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	65530	69392	105.9
ხელოვნება, გართობა და დასვენება	14375	17091	118.9
სხვა სახის მომსახურება	7137	7458	104.5

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2018


რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 63.9%,
- აჭარის ა.რ. – 8.3%,
- ქვემო ქართლი – 7.7%,
- იმერეთი – 5.9%,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.5%

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 71.2%,
- აჭარის ა.რ. – 7.2%,
- ქვემო ქართლი – 6.0%,
- იმერეთი – 4.9%,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.3%.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას:




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2018

რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 61.8%,
- აჭარის ა.რ. – 9.9%,
- იმერეთი – 7.3%,
- ქვემო ქართლი – 5.9%,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.2%.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



01.10.2018

შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:
 - საქმიანობის სექტორები K, O, T, U
 - 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)
2. გამოკვლევული საწარმოები კლასიფიცირდებიან:
 - ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
 - ფაქტური მისამართის შესაბამისად.
3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:
 1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
 2. შპს „საქართველოს ფოსტა“
 3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
 4. სს „სილქნეტი“
 5. სს „საქართველოს რკინიგზა“
 6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
 7. სს „საქენერგორემონტი“
 8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა. შ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2018

რელიგში გამოყენებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების შემდეგი კლასიფიკაცია:
ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2)
სეფციების დასახელებები

A	„სოფლის, საძვანო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
I	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა;სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება, გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

წყარო: სანარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური)

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge